



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვეკუა გიორგი ერმილეს ძე

ვეკუა გიორგი ერმილეს ძე (დ. 12. VII. 1925, სოფ. მცირე ბარლები, ახლანდ. გალის მუნიციპალიტეტი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1978), პროფესორი (1979). დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტი (1951). იყო თსსი-ის ფილოს. კათედრის გამგე (1962–94), საზ. მეცნ. კათედრის პროფესორი (1994-იდან). ვ-ს კვლევის ძირითადი მიმართულებებია რელიგ. ისტორია, მატერიალ. დიალექტიკა, თანამედროვე მედიცინის ფილოს. საკითხები.

თხზ.: მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები, თბ., 1960; მიზეზობრიობის პრობლემა ფილოსოფიასა და მედიცინაში, თბ., 1977; მედიცინის ფილოსოფია (ლექციების მოკლე კურსი), თბ., 1994.
